ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2786301

ნომერი: AR1427466

თარიღი : 12.08.2016

გაცემის თარიღი : 19.08.2016

გაცნობის თარიღი : 26.08.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მარჯანიშვილი , N 5 / ქალაქი თბილისი , ქუჩა დიმიტრი უზნაძე , N 16-18 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაზა შარაშენიძე პ/ნ 01009017418
- წყნეთი, ალუბლების ქ. N 6

ნომენკლატურა :

- მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (ექსტერიერისა და ინტერიერის სარესტავრაციო, სარემონტო და გაწმენდის სამუშაოები)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გიორგი ლომაია
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01020002478

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ზაზა შარაშენიძე

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

გაცნობებთ, რომ საკითხის შესწავლისას, წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციაში გამოვლენილ იქნა ხარვეზები, კერძოდ:

1. არქიტექტურულ პროექტში არ არის წარმოდგენილი:

- გენგეგმა დატანილი საკადასტრო საზღვრებით და აბრის განთავსების ზუსტი მდებარეობის ჩვენებით. აქვე განგიმარტავთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ არსებული კონსტრუქცია, რომელზეც არის დაგეგმილი აბრის მოწყობა, მდებარეობს უძრავი ძეგლის ტერიტორიის საკადასტრო საზღვრებს გარეთ, მოთხოვნა შემოტანილი უნდა იქნეს I კლასის ნომენკლატურით

- განმარტებითი ბარათი სამუშაოების აღწერით

- შესაბამისი ნაწილის ანაზომი და საპროექტო ნახაზები (ფრაგმენტი) ყველა საჭირო ზომის და ნიშნულის, ასევე მასალის ჩვენებით. გაცნობებთ, რომ "ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 24.05.016წ. N14-39 დადგენილების 33-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, "შენობაზე მიმაგრებული ნიშნები და აბრები შესაძლებელია იყოს შეჭრილი საზოგადოებრივ სივრცეში გრუნტის ზედაპირიდან 2.7 მ-ზე მაღლა სიმაღლეზე, მაგრამ ტროტუარის კიდის ვერტიკალურ წარმოსახვითი სიბრტყიდან პერპენდიკულარული მანძილი ამ ნიშნებამდე და აბრებამდე უნდა იყოს მინიმუმ 1,2 მ." პროექტში ნაჩვენები უნდა იყოს ზემოაღნიშნულ ნორმებთან შესაბამისობა

2. ვინაიდან აბრის განთავსება დაგეგმილია ბუნებრივი აირის მილების კონსტრუქციაზე, წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი მესაკუთრის თახნმობა სარეკლამო აბრის მოწყობაზე და პოზიცია ჩასატარებელი სამუშაოების უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე;
3. წარმოდგენილი იქნეს იჯარის ხელშეკრულება სს "ბეჭდვითი სიტყვის კომბინატსა" და შპს "აგავას" შორის, საჭიროების შემთვევაში, იჯარის ხელშეკრულება რეგისტრირებული იქნეს საჯარო რეესტრში (ამონაწერში შესაბამისი იჯარა არ ფიქსირდება), ამასთან დამკვეთის გრაფებში შევსებული იქნეს ორგანიზაციის გრაფები. ამასთან გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ ხარვეზების სრულყოფილად გასწორების შემდგომ საკითხი განსახილველად გადაეცემა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.